აქტივობის დასახელება და სამუშაოს მოცულობა	**მოსალოდნელი შედეგები / პროცესის მართვა**
აქტივობა 1: სამაგიდო კვლევა	რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და ადგილობრივი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ანალიზი. პროცესის აღწერა: ეროვნული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზების მეშვეობით რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და ადგილობრივი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის (პორტი, საწყობი, სარკინიგზო კავშირები) ანალიზი. კერძოდ, ამ ეტაპზე კონტრაქტორმა არსებული ლიტერატურისა და ოფიციალური ანგარიშების საფუძველზე უნდა მოახდინოს შავი ზღვის აუზში არსებული ინფრასტრუქტურული ბარიერების (bottlenecks), „შუა დერეფნის“ მიერ შექმნილი სატრანზიტო ტვირთების წნეხის, ევროკავშირის ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმთან (CBAM) შესაბამისობის საჭიროებებისა და სასაზღვრო გადასასვლელებზე ციფრული ტექნოლოგიების დეფიციტის იდენტიფიცირება. ამ სამაგიდო სამუშაოს მთავარი მიზანია ოფიციალურ სტატისტიკაში არსებული ხარვეზებისა და მონაცემთა დანაკარგების მკაფიოდ გამოვლენა და იმის განსაზღვრა, თუ რა სახის არაპირდაპირი (surrogate) მონაცემები უნდა იქნას შეგროვებული მე-2 აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი საველე ინტერვიუების დროს. ამ აქტივობის დასრულებისას (ისევე როგორც ცხრილში მოცემული ყოველი მომდევნო აქტივობის ბოლოს), შუალედური ანგარიშის პროექტი დასამტკიცებლად და შემდგომი მითითებების მისაღებად უნდა წარედგინოს აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატას (ACCI).
აქტივობა 2: თვისობრივი საველე კვლევა/სამუშაოები, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	კონტრაქტორმა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ თვისობრივი საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯამებით. პროექტის ფარგლებში მოპოვებული ყველა პირველადი (raw) მონაცემის ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი იქნება არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა (ACCI). თითოეული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის შეხვედრისთვის აუცილებელია:
	• პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის ფარგლებში მონაწილეებისგან აუდიო/ვიდეო ჩაწერის ნებართვის ფორმების მოპოვება; • ყველა პირველადი აუდიოჩანაწერის (ან ვიდეოჩანაწერის, თუ შეხვედრა ონლაინ რეჟიმში ჩატარდა) სრულად გადაცემა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატისთვის ციფრულ ფორმატში; • მ ჩანაწერების სიტყვასიტყვითი (word for word) გადატანა Microsoft Word-ის დოკუმენტში ყოველგვარი ფილტრაციის ან ინტერპრეტაციის გარეშე. • სავალდებულოა ტექსტების სრული ვერსიების (გაშიფრული სახით) წარდგენა შესაბამის ფორმატში.
	ამ კონტექსტში, კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს მინიმუმ 30 სიღრმისეული პირისპირ ინტერვიუ და მინიმუმ 2 განსხვავებული ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომლებიც წარმოადგენენ შავი ზღვის აუზის მიწოდების ჯაჭვის ეკოსისტემას. ინტერვიუები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კომპანიების მაღალი რანგის ხელმძღვანელებით (CEO და ა.შ.); პროცესში ჩართული უნდა იყვნენ საბაჟო მენეჯერები, ავტოპარკის ზედამხედველები და მცირე და საშუალო ზომის გადამზიდავები. ასევე, კონტრაქტორი პასუხისმგებელია ინტერვიუების დროს დაინტერესებული მხარეებისგან (stakeholders) მოაგროვოს ისეთი რეგიონული ლოგისტიკური სტატისტიკა, რომელიც არ არის გასაჯაროებული ოფიციალური ორგანოების მიერ (მაგალითად: საზღვარზე ლოდინის საშუალო დრო), ასევე მოიპოვოს არაპირდაპირი (proxy) მონაცემები და შიდა ოპერაციული KPI-ები (Key Performance Indicators).
	• გათვალისწინებული 30 სიღრმისეული ინტერვიუ უნდა გადანაწილდეს ბალანსირებულად პროექტის მეთოდოლოგიის შესაბამისად: [A-კერძო სექტორი] და [B-საჯარო/არასამთავრობო]
	• ინტერვიუერებმა თითოეული სამიზნე აუდიტორიისთვის უნდა გამოიყენონ წინასწარ განსაზღვრული სპეციფიკური კითხვების ნაკრები და „ჩაღრმავების“ (drilling) ტექნიკა.
	• MAXQDA-ს ან მსგავსი პროგრამით ხარისხიანი კოდირების უზრუნველსაყოფად, თითოეული ინტერვიუ უნდა გრძელდებოდეს მინიმუმ 10-15 წუთს, ხოლო გაშიფრული ტექსტების სიგრძე თითოეულ ინტერვიუზე საშუალოდ 700-800 სიტყვა უნდა იყოს. ზედაპირული ინტერვიუები, რომლებიც მხოლოდ „კი/არა“ პასუხებისგან შედგება, არ მიიღება.
	კონტრაქტორმა მონაწილეებს უნდა მისცეს გარანტია, რომ ინტერვიუების დროს მიღებული სენსიტიური კომერციული მონაცემები და განცხადებები არალეგალური/არაფორმალური პრაქტიკის შესახებ გამოყენებული იქნება ანონიმურად, საბოლოო ანგარიშში ინსტიტუტის/პიროვნების სახელის მითითების გარეშე.
	ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები სასურველია შეირჩნენ იმ ახალი პირებისგან, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ინდივიდუალური ინტერვიუების ჯგუფში.
	პირისპირ შეხვედრებისა და ფოკუს-ჯგუფების ანალიზისას საფუძვლად უნდა იქნას აღებული შესაბამის დანართში მითითებული შერჩევის კრიტერიუმები.
	ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები უნდა გრძელდებოდეს მინიმუმ 90 წუთს. მონაწილეებს წინასწარ ნათლად უნდა განემარტოთ, რომ შეხვედრების დროს დაცული იქნება კონფიდენციალურობის წესები. შეხვედრების ჩანაწერები და დამკვირვებლის შენიშვნები წარდგენილი უნდა იყოს გაშიფრული და პროგრამულად კოდირებული სახით, ისევე როგორც ეს ხდება ინტერვიუების პროცესის შემთხვევაში.
აქტივობა 3: ანგარიშის მომზადება (წერა)	საბოლოო ანგარიში უნდა მომზადდეს აკადემიურ და პროფესიულ ენაზე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, ანგარიშის ინგლისურენოვანი ვერსია არ უნდა შესრულდეს პირდაპირი/არაოფიციალური თარგმანით; სავალდებულოა პროფესიული თარგმანისა და რედაქტირების ეტაპების გავლა ტერმინოლოგიური თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.
აქტივობა 4: ვიზუალური დიზაინი, ციფრული პუბლიკაცია და ბეჭდვა	ანგარიშის შინაარსის დამტკიცების შემდეგ, კონტრაქტორი პასუხისმგებელია ანგარიშის სრულ ვიზუალურ დიზაინზე (გარეკანის დიზაინი, გვერდების განლაგება, გრაფიკებისა და მონაცემთა ცხრილების ვიზუალიზაცია და ა.შ.). დიზაინის ესკიზები ბეჭდვამდე უნდა დაამტკიცოს აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ. შედეგები: სავალდებულოა დამტკიცებული ანგარიშის მომზადება ციფრული პუბლიკაციისთვის (ინტერაქტიული PDF და სხვა) ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ხარისხიანი მყარი ყდით ბეჭდვა და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატისთვის მიწოდება (ტრანსპორტირების ჩათვლით) შემდეგი რაოდენობით: 10 ცალი ქართულ ენაზე და 10 ცალი ინგლისურ ენაზე.